№ 209
სამშაბათი, 4 ოქტომბერი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 209
სამშაბათი, 4 ოქტომბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

3 ოქტომბერი

ბათუმი. ხმოსნებად ამორჩეულ იქმნენ: გედევანიშვილი, ვოლსკი, დუმბაძე, ელიავა, ყუბანეიშვილი, მესხი, გუგუშვილი, ბერძნიშვილი, ბარათაშვილი, გელაძე, ლომინაძე, ბეთანელი, გეგენავა, ჯაყელი, მჭედლიშვილი, მოსეიძე, ნიკოლაძე, საბაშვილი, საბახტარაშვილი, საბაშვილი, ერისთავი, შარვაშიძე, ბურსუნ-ბეგი აბაშიძე, ჰუსეინ აბაშიძე, ჰუსეინ ოღაბაშ-ოღლი, გრიელსკი, ლოპატობოკოვი, ივანოვი, კოჩეტკოვი, ვაკიე, დეპოლინი, ზროდლოვსკი, ნეტალიუმოვი, პოლსკი, სევერინი, ბინლისი, დიმიტრიადი, მიხაელიდი, სიმიონიდი, სიმონოვი, იაკოლოსი.

არჩევანმა სრულიად მშვიდობიანად და სამაგალითო წესით ჩაიარა.

30 სექტემბერი

პეტერბურგი. 28 სექტემბერს მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი იყვნენ მასანდრს, სადაც საათ ნახევარი დაჰყვეს. ხელმწიფე იმპერატორმა გასინჯა თავისს სიმშვენიერით და სიმდიდრით ცნობილი სანერგე ბაღი. ხელმწიფე იმპერატორის ლივადიაში უკან დაბრუნების დროს, მთელი იალტის ქუჩები ხალხით იყო სავსე. ეს ხალხი უმაღლესის მგზავრების სანახავად გამოსულიყო.

ტიან-ძინი. იაპონიის ფლოტი პეჩალიის ყურეში ჰპატრონობს. ადმირალი იტო თითქმის ყოველს დღეს შედის არტურისა და ვეი-ხაი-ვეის ნავთ-სადგურში და ყურეს ფსკერსა ჰზომავს.

ლონდონი. 8 ოქტომბერს იაპონელებმა დაიპყრეს ქალაქი ვიტსიუ. ჩინელების მეციხოვნე ჯარი, რომელიც ორი ათასის კაცისაგან შესდგებოდა, გაიფანტა; მრავალ-რიცხოვანი ჩინელების ჯარი მდ. იალუს სამხრეთს ნაპირზედ გამოჩნდა. იაპონელებს განზრახვა აქვთ მუკდენი ნოემბრის პირველ რიცხვებამდის დაიპყრონ. იაპონელებმა აღსთქვეს, კორეს ჩვენს სამფლობელოს არ შემოუერთებთ, მხოლოდ ჯარებს-კი იმ დრომდე არ გაიყვანთ ამ ქვეყნიდგან, ვიდრე ეს მხარე თავისს მმართვა გამგეობას თითონვე არ შეიძლებსო.

2 ოქტომბერი

პეტერბურგი. გუშინ «Полярная Звѣзда» წავიდა პეტერბურგიდგან კორფუში ფლიგელ ადიუტანტის თავადის მახოვსკოის უფროსობით.

ფინანსთა მინისტრი სამზღვარ გარეთიდგან დაბრუნდა.

პარიზი. დღეს თეატრს „Opera“-ში პირველად წარმოადგინეს „ოტელლო“ ვერდისა, რომელსაც საზოგადოება ხანგრძლივის ტაშისცემით მიეგება. კაზიმირ პერიემ გარდასცა ვერდის საპატიო ლეგიონის ორდენის, დიდის ჯვრის ნიშნები.

ვენა. საბერძნეთის მეფემ გუშინ ინახულა რუსეთის ფლიგელ-ადიუტანტი ბენკენდორფი, რომელიც დღეს კორფუში წავიდა.

რუსეთის ლეიბ-ხირურგი გირში დღეს ლივადიაში წავიდა.

3 ოქტომბერი

კრონშტადი. დღეს დილით ადრე გავიდა ზღვაში საიმპერატორო გემი „Полярная звѣзда“ და „კრეისერი ვლადიმირ მონომახი“.

ბუხარა. გუშინ მეურნეობის მინისტრი სამარყანდს წავიდა.

პარიზი. ჰავრში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შემდეგმა ამბავმა. ინგლისიდგან მოსულ გემზედ იპოვნეს 74 ყუთი, რომელშიაც იყო ჩალაგებული თითბრის მასრები, რომელსაც ხმარობენ ასაფეთქად; ძველი იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მასალა. ეს ყუთები უნდა მიეტანა პარიზის ახლო მდებარე ალაგს ანვესს, არ იციან ჯერ ანარხისტების არის ეს ყუთები თუ არა. გამოძიება დაიწყო.

◆

ახალი ამბავი

⁂ პირველს ოქტომბრის ღამეს პოლიციის მერვე განყოფილებაში, რიყეზედ, დიდი უბედურება მოხდა. მოულოდნელად დაინგრა ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ტიმოთე მარკინისა და ფიცრული ბირიუკოვისა და რამდენიმე კაცი დაიტანა. მახლობლად მდგომთ პოლიციის მოხელეებმა მაშინვე აცნობეს ეს ამბავი პოლიციის ბოქაულს, რომელმაც თავისს მხრით ბატონს პოლიცმეისტერს შეატყობინა. მოვიდა პოლიცმეისტერი თუ არა, მაშინვე დაახვია მუშები და ნანგრევის თხრა დაიწყეს. ნანგრევებიდგან ექვსი დიდად დასახიჩრებული სხვა-და-სხვა წლოვანების ბავშვი ამოიყვანეს, აქვე იპოვეს მალაკნის დედაკაცის უსულო გვამი. უბედურს თურმე კოჰი დასცემოდა გულში და იქვე სული გაეფრთხობინებინა. ბ-ნის გუბერნატორის ბრძანებით, რომელიც აქვე მოვიდა, ნანგრევებს მთელს ღამეს სთხრიდნენ. ადამიანების გარდა, ორი მოკლული ცხენი იპოვეს. მუშაობა ჯერაც არ შეუჩერებიათ, თუმცა, სახლის პატრონის სიტყვით, იმ სახლში სხვას აღარავის უცხოვრია.

⁂ 1 ოქტომბერს მცხეთის ტაძრის დღესასწაულზედ, დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მწირველად იყო საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი.

წირვის შემდეგ მლოცველებმა დაიწყეს სეირნობა და დროს გატარება მუსიკითა, ცეკვითა და სიმღერით.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ ბაქოს ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი გელოვანი დანიშნულ იქმნა იმავე სასამართლოში ბრალმდებლის ამხანაგად. საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად ტფილისის ოლქში დანიშნულ იქმნენ: არდაგანის საინჟენერო დისტანციის უფროსი პოლკოვნიკი ბრევერნი, პოდპოლკოვნიკი ცერპ-ცკი და კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს წევრნი პოლკოვნიკი ლუცკი, ვოლკოვი და შმერლინგი.

⁂ აჭარა (ბათუმის ოლქი), კვირას დილით, 25 სექტემბერს ხულოდგან აბასთუმანში წავიდა ეტლით ინჟენერი ნ. ბ. პასსეკი, რომელიც ზედამხედველია ბათუმ-ახალ-ციხის გზა-ტკეცილისა. დანის პორაულის მახლობლად, ერთს მოხვეულს ადგილას, დაუხვდა წინ სამი შეიარაღებული კაცი, რომლებმაც უბრძანეს მეეტლეს, ეტლი გაეჩერებინათ. გაჩერდა თუ არა ეტლი ერთმა იმათგანმა საფარს მიაშურა და თოფი დაუმიზნა ეტლში მჯდომს ინჟენერს პასსეკს, მეორე ეტლს უკან ამოუდგა და მესამე ახლოს მივიდა თურმე. რა გნებავთო? ჰკითხა პასსეკმა. ჩქარა ფულიო, უპასუხნიათ უცნობთ და ბ-ნი პასსეკი, მიმხვდარა, რომ ყაჩაღები არიანო. ჩაიყო თურმე ჯიბეში ხელი ამოიღო ქისა, გახსნა და უჩვენა, რომ ამისმეტი ფული არ მაქვსო, და მისცა რაც ჰქონდა—180 მანათი. ყაჩაღებს გამოურთმევიათ 80 მან. ღირებული საათი ძეწკვით. სულ 200 მან. წაუღიათ და გაქცეულან.

ეს ამბავი 30 სექტემბერს აცნობეს ზედა აჭარის ნაწილის უფროსს ბერიძეს. იგი დიდად მოწადინებულია, რომ დამნაშავენი ხელში იგდოს, მაგრამ იმედი ცოტაა, რადგანაც გვიან მოვიდა ეს ამბავი.

⁂ იქიდამვე: ერთს თვეზე მეტია რაც სწვიმს, ჰაერი ძლიერ გაცივდა; ამას წინად თოვლიც იყო, სიმინდი ისე გაფუჭდა, რომ მეათედი მოსავალი არ გვექნება. სიმშილი კარზედ გვადგა.

⁂ 1 ოქტომბერს, ღამის 11 საათზე, ჩითახოვის ახალს ქუჩაზე, გენერლის ქვრივის კობიაშვილის სახლთან 2 თვის დაბადებული

ფელეტონი

ფიშე და მისი სასწავლებლის ამხანაგი

(თარგმანი)

მერვე წელს ფრანგთა პირველ რევოლიუციისას, ე. ი., 1800 წ. დიჟონში სცხოვრობდა მღვდელი, Côte d'or დეპარტამენტის სოფლელი, მიშელ პერრენი.

ოც-და-ორის წლის მყუდრო და ბედნიერის ცხოვრების შემდეგ, რევოლიუციის ქარ-ტეხილის მეოხებით განდევნილი სამრევლოდგან და მოკლებული ყოველსავე სახსარს ცხოვრებისას, იგი კარგა ხანს დადიოდა სხვა-და-სხვა ადგილას, სანამ თავ-შესაფარი არ იშოვნა დიჟონში თავისს უქმრო დასთან, რომელიც დაუდგრომელის შრომითა და ჯაფით ირჩენდა თავისს თავსა და არჩენდა ძმასაც. კეთილსა და პატიოსანს მღვდელს ეჩოთირებოდა, რომ მონაწილე იყო თავისის დის ოფლით ნაშოვნ წვლილისა.

ერთხელ მოულოდნელად დამ შეატყობინა, რომ შენი დიდის ხნის სასწავლებლის ამხანაგი ჟოზეფ ფიშე პარიზში მინისტრად დაუნიშნავთო.

— როგორ მიხარიან, რომ მე ცოცხალი ვარ და იმასაც აგრე გაუღიმა ბედმა! შენიშნა მღვდელმა. ჰო, მართლა, ჟოზეფ ფიშე ბუნებით ჭკვიანი იყო და ცოტაოდენი უმაღლესი სწავლაც მიიღო. ჩვენ ყოველთვის ერთად ვმეცადინობდით და განუყრელი ამხანაგები ვიყავით. თუ საქმე იქამდის მიაღწევდა, რომ უსათუოდ ჩხუბი უნდა მომხდარიყო, ფიშეს დიდი იმედი ჰქონდა თავისის ერთგულ ამხანაგის მიშელ პერრენისა. არა ერთი მუშტი მოხვედრია ჩემს ზურგს იმის მეოხებით; ის სუსტი იყო, მეკი ღონიერი, და ამისათვის მოვალედ ვსთვლიდი თავს იმის მაგივრად გამეცა ხოლმე პასუხი.

მღვდელი დარწმუნებული იყო, რომ როდესაც ფიშე შეიტყობს ჩემს უკიდურესს მდგომარეობას, მაშინათვე დამეხმარებაო, და პარიზისაკენ გაემგზავრა. იქ შეიტყო, რომ დიდებული მინისტრი პოლიციისა კვირაში ერთხელ და ისიც, თუ თავისს დროზედ იქმნა მირთმეული თხოვნა, იღებს მთხოვნელებს მოსალაპარაკებლადაო: მღვდელმა მაშინათვე დასწერა თხოვნა.

„ბ-ნს მინისტრს პოლიციისას ჟოზეფ ფიშეს. მე, მიშელ პერრენი, ვთხოვ ჩემს დიდისხნის ამხანაგს, მინახულოს რაც შეიძლება საჩქაროდ. ვცხოვრობ სასტუმრო „მზე“-ში, მეუფფერატის ქუჩაზედ“.

პასუხი მალე მოუვიდა.

„მინისტრი პოლიციისა ფიშე მალე ინახულებს მოქალაქე მიშელ პერრენს, მომავალს ხუთშაბათს, საათის პირველზედ“.

დანიშნულს ვადაზედ მღვდელი შევიდა მინისტრთან, რომელმაც ძალიან მხიარულად მიიღო.

— რომ არც-კი დაგესახელებინა შენი ვინაობა, მაშინვე, პირველსავე შეხედვაზედ, გიცნობდი, თუნდა ქუჩაში შეგხვედროდი სადმე. დაჯექ და მიამბე როგორა სცხოვრობდი მას შემდეგ, რაც მე და შენ უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი.

— რამდენსამე ხანს მღვდლად ვიყავი და მყუდროდ და ბედნიერად ვცხოვრობდი. დადგა საშინელი დრო: გამდევნეს, შეურაცხმყვეს, მსდიეს და იქამდის მიმიყვანეს, რომ თავ-შესაფარიც-კი არა მქონდა.

— მიეკედლებოდი სადმე და იცხოვრებდი.

— სად მივკედლებულვიყავ, ან როგორ მეცხოვრა? იძულებულ ვიყავ თავი დამემალა გლეხებთან. ვიყავ ეჭვს ქვეშ რისთვის? მეც არ ვიცი. წარმოიდგინე, ამისთანა მდგომარეობაში რა უნდა მექმნა? და ახლა, როდესაც შევიტყე, რომ შენა ყოფილხარ მინისტრად, შენთან მოვედი...

ფიშემ უთხრა მღვდელს, სამსახურში თუ შემოხვალ, მიგიღებენ ჩემს სამინისტროში, სადაც კმაყოფილად შეგეძლება ცხოვრებაო.

პერრენი სიხარულით დასთანხმდა.

ფიშემ მისცა თავისს მეგობარს წერილი და რამდენისამე წუთის შემდეგ მღვდელი საპოლიტიკო პოლიციის უფროსის დამარეზის, კარებთან იდგა. წაიკითხა თუ არა დამარემ მინისტრისაგან გამოგზავნილი ბარათი, ტკბილად გამოესაუბრა პერრენს:

— მინისტრსა ჰსურს, რომ მე და შენ შეგვაერთოს ერთის სამსახურით. ბლომად დაგინიშნა ჯამაგირი; დიდი იმედი აქვს შენი და შენგან ერთგულს სამსახურს მოელის. ყოველ დღე ოც ფრანკს მიიღებ. დღეიდგან

მიგდებული ბავშკი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ 30 სექტემბერს, შავს სოფელში, ტფილისის მცხოვრებელს გიორგი გარეგინს ერთის სადგურიდგან მეორეში ბარგი გადაჰქონდა. კედლიდგან რევოლვერი ჩამოიღო და ხელიდგან გაუვარდა. რევოლვერი გავარდა, და დასჭრა დარჩო ფილიპოვის 8 წლის ქალი. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს დავით გაგლოშვილმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ თუმანოვის ქუჩაზედ საჯინიბოდგან 50 მან. ღირებული ცხენი მომპარესო.

⁂ 29 სექტემბერს სოფ. დონგუზუანის მცხოვრებელმა ჰუსეინ-ახმედ-ოღლიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ტფილისში ჩამოვედი ვექილის საშოვნელად. როცა ვეკითხებოდი ზოგიერთებს, ამ დროს შემხვდა ტფილისის მცხოვრებელი მიხეილ გასპარას ძე ბალდასაროვი და მითხრა. მე ვიცი კარგი ვექილიო. წამიყვანა ერმოლოვის ქუჩისაკენ გზაში შეგვიერთდა სამი კაცი. ერთმა იმათგანმა გამოაცხადა, ფულის ქისა დამეკარგა, რომელშიაც 808 მან. მქონდაო და ეჭვი ჩემზედ შემოიტანა. მითხრა, აბა მაჩვენე შენი ფულის ქისაო. მე ვერ მივხდი იმათს ცუდს განზრახვას და ქისა ამოვიღე. ქისაში 36 მან. მქონდა. იმათაც მიწაზედ გაზეთი გაშალეს, ფული ზედ დააწყეს ყველამ თანაბრად გაინაწილეს. ეს ფული ჩვენიაო, სთქვეს და გაიქცეენ. მიხეილ ბალდასაროვი შეპყრობილია.

—

გაზეთ „Тиф. Лист.“-ი სწერს: „ოლგას ქუჩაზედ ერთის სახლის პატრონს, თავადს ი. გ. მაჩაბელს გაუყვანია არხი თავისის სახლიდგან ქალაქის არხში, ქალაქის გამგეობის დაუკითხავად. ეს სახლის პატრონი გახლდათ ქალაქის საბჭოს ხმოსნად, არის საზოგადო მოღვაწე და საზოგადო კრებათა დროს გამოიდაშქრებს ხოლმე უსამართლობის გასაკიცხავად, ჰკიცხავდა ქალაქის უწინდელ გამგეობას სხვა-და-სხვა უკანონო საქციელისთვის, ერთი მოთავეთაგანი იყო ქალაქის საბჭოს ოპოზიციისა და მუდამ ამტკიცებდა, ქალაქისა და მოქალაქეთა ინტერესების გულისთვის ვშრომობ და ვმოღვაწეობო.

შემდეგ, როცა ამ არხის გაყვანა შეიტყო პოლიციამ და თავისს მხრივ ქალაქის გამგეობას შეატყობინა, თავადმა ი. გ. მაჩაბელმაც სთხოვა ქალაქის გამგეობას, არხის გაკეთების ნება მომეციო და თანაც დასძინა: ჩემის მრწმუნებლის სახლიდგან, მართალია, უკვე გავიყვანე არხი, მაგრამ ამ არხით ჯერ არავინა სარგებლობსო. ზემოხსენებულ სახლიდგან არხი გაყვანილ იქმნა ტივის ხის საზიდავ ქუჩის არხამდე, რომელიც გააკეთა ინჟინერმა კირაკოზოვმა და რომელმაც უკვე მიიღო 50 მანეთი ჩემის რწმუნებლისაგან არხის გაყვანისთვის. რაც შეეხება ამას, რომ არხი გაიყვანეს მუშებმა ჩემს ტფილისში არ ყოფნის დროს, იმის პასუხის-გებას თვით მე ვკისრულობ.

ამ თხოვნას იგივე გაზეთი დასძენს: საკვირველია, რომ თავადი ი. გ. მაჩაბელი არას ამბობს იმის შესახებ, რატომ არ წარუდგინა მან ქალაქის გამგეობას საჭირო გარდასახადი, რომელიც ქალაქის საბჭომ დაადგინა, ე. ი. საჟენზედ 5 მანეთი, სახლის წინა კედლის სიგრძის მიხედვით. როგორც ქალაქის ხმოსნათ ნამყოფს. თ. მაჩაბელს ეს გარდაწყვეტილება ქალაქის საბჭოსი კარგად უნდა სცოდნოდა. ეს გარდასახადი შეადგენდა სულ 103 მანეთს.

გარდა ამისა თ. ი. გ. მაჩაბელი არც იმაზე ამბობს ხმას, რად გაიყვანა ის არხი ქალაქის გამგეობის ნება დაურთველად და ამასთანავე ჩუმად-ც-კი, რასაც ნათლად ამტკიცებს ქალაქის გამგეობაში პირველ ნაწილის ბოქაულის მიერ მიწერილი წერილი:

„ოლგას ქუჩაზედ სახლის პატრონმა თავადმა მაჩაბელმა, როგორც მე შევიტყე 29 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის და ადგილობრივ პოლიციის ნება დაურთველად, გაიყვანა თავისს სახლიდგან არხი და შეუერთა ტივის ხის საზიდველ ქუჩის არხს. ვაუწყებ რა ამას ქალაქის გამგეობას, დავსძენ ამასთანავე, რომ არხის გასაყვანად მუშაობა ყოფილა ისეთს დროს, როცა პოლიციელნი დანიშნულ ადგილებზედ სდგანან და ვერა ჰნახავდნენ. მით უფრო, რომ არხის გასაყვანად სულ 2 ან 3 საათია საჭირო.

◆ ◆

დამაკვირდი

—

ვინ იცის, რამდენი კაცი არ ივლიდა ეკკლესიაში, იქ რომ მარტო უფლის თვალი ეგულებოდეს.

სენნი

**

აღზრდა-განათლება სულელს ნასწავლად გარდააქცევს, მაგრამ ბუნებითვე თან დაყოლილს ნაკლს-კი ვერ შეუვსებს.

ბოშენი

**

მდიდარი ის არის, ვისაც სურვილი და მადა ზომიერი აქვს.

ინდოთა თქმულება

◆ ◆

კორესპონდენცია

—

სოფ. ობჩა (იმერეთი). აირია ჩვენი სოფელი, ვინ წინაამდეგობს, ვინ არაყსა ხდის ნება დაურთველად და სხვას აბრალებს, ვინ ვისა ებრძვის, ჰკლავს და საკუთრებას ართმევს, აღარ იციან. აქ 22 სექტემბერს დიდად სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ სოფელში მამინაცვალთან სცხოვრობს სამი ქალიშვილი, გვარად ჩხეიძეები. წინად ეს ქალები სცხოვრობდნენ სოფ. ფუთში (შორაპნის მაზრა), მამის გარდაცვალების შემდეგ დედა გაუთხოვდათ და ამ ქალიშვილებმა მამისეულობა ფულად აქციეს და საცხოვრებლად მამინაცვალთან დაბინავდნენ. ფული ჩვენში დღემდის კარგად სარგებლობდა და ამითი მცირე ხანში რამდენისამე ათასის მანეთის მეპატრონენი გახდნენ.

ამ სოფელშივე გლეხს მელ. გეწაძეს ადგილები აუწერეს ვალში და საზოგადოდ ვაჭრობაზედ დაირჩინეს; კანონიერად ჩაბარება ადგილისა ვეღარ მოახერხეს, რადგან ადგილზედ სახელმწიფო ქონებათა სასამართლომ თავისი უფლება განაცხადა. ეს ქალები მახლობელთა და ნაცნობმეგობართა რჩევით ძალაობის გზას დაადგნენ: ორი ახალგაზდა ოსი დაიქირავეს, რამდენიმე ნაცნობი დაიხმარეს და წავიდნენ ადგილის დასაფლობად. გლეხი თავისის ოჯახობით ამ ადგილშივე სცხოვრობდა. როცა ქალები მივიდნენ, ერთმა მათთაგანმა ლობეს დაუწყო რღვევა, გლეხმა დაითხოვა, მაგრამ არ ინება შეჩერება, გავარდა თოფი და ქალი გულ-აღმა წაიქცა. ოსებმა, სამაგიეროდ, ერთი ტყვია გლეხს შიგ პირში ჰკრეს, მეორე ძუძუში და აქვე გამოათხოვეს ამ წუთი-სოფელს, შვილიც მოხუცის გლეხისა მძიმედ დასჭრეს. თოფი, რომელიც გლეხმა ქალს ესროლა, საფანტით იყო გატენილი და ამიტომ ქალს ბევრს ადგილას აქვს ჭრილობა. ექიმმა რამდენიმე საფანტი გამოიღო, მაგრამ უმრავლესობა სხეულშივე დარჩა და ექიმს ჯერ-ჯერობით საეჭვოდ მიაჩნია ქალის მორჩენა. საქმე გამოძიებაშია.

ჩ.

—

სოფ. ბაღდადი (ქუთაისის მაზ.), 27 სექტემბერი. ყველა, ვინც-კი ჩვენის ქვეყნის დაბა-სოფლების ავ-კარგიანობას ბეჯითად და დაკვირვებით ადევნებს თვალ-ყურს, არ შეიძლება იმ აზრს არ დაადგეს, რომ საქართველოს თითქმის ყოველი კუთხე განათლების განთიადს მოუცავს. ხალხი სიბნელით მოცულ უვიცობისაგან თანდათან გამოდის და სიხარულით ეგებება ამ სანეტარო განთიადს. ყოველ მხარეს სკოლებსა და წიგნთ-საცავებს ჰმართავენ, ყოველ საქველმოქმედო აზრს თანაუგრძნობენ და მისს სისრულეში მოყვანას მზად არიან დახმარება აღმოუჩინონ შეწირულებით ან სხვა რაიმე საშუალებით. არა თუ მარტო ჩვენს ქალაქებთან ახლო-მახლო მყოფმა სოფლებმა, იმ ჩვენ მოძმეთაც კი, რომელთათვისაც მუხთალ წუთი-სოფლის ბრუნვას კავკასიონის კალთებზე და ხეობებში მიუჩენია ბინა, და რომელნიც სიშორისა და უგზოობის გამო ასე განცალკევებულნი არიან ჩვენგან, იმათაც, გამოიფხიზლეს, შეიგნეს დიადი მნიშვნელობა განათლებისა და სიხარბით ეწაფებიან მის ნაყოფს.

დიაღ, საქართველოს ყოველი კუთხე) (ჩვენი მთიულები და აგრეთვე გამაჰმადიანებული ქართველებიც კი) ასე ერთგულად ეტანება განათლების საქმეს და ჩვენი ბაღდადი და მისი მეზობელი სოფლები-კი, მაგალითად, დიმი, როკითი, ფერსათი, სადიმეტრაო, გორა და სხ. ჯერ ისევ უმეცრების ბურუსს მოუცავს, — თუმცა ეს სოფლები იმერეთის შესამჩნევი ადგილებია როგორც მცხოვრებთა რიცხვით, ისე მდებარეობითა და ღვინის მოსავლით და ქუთაისიდგან 20—27 ვერსტის მანძილზედ იმყოფებიან. ამოდენა საზოგადოებას ერთი სკოლა და (სამინისტრო) აქვს ბაღდადში, და ისიც, თავადის თათქარიძის საბძლისა არ იყოს, ისე საცოდავად დაღრეჯილა, რომ, თუ ვინმე პატრონი არ გაუჩნდა, მალე იზამს პირს სიქოსაკენ. ამ სკოლის მახლობლად აშენებული ქვის საყდარი, საზოგადოებისაგან უყურადღებოდ მიტოვებული, აგერ ერთი წელიწადი სრულდება, რაც ჩამოირღვა. წიგნთ-საცავის და თეატრის სახელს ხომ სრულიად ვერ გაიგონებთ ამ მხარეში. ამ ერთის წლის წინად რამდენმამე ახალგაზდა ქალმა და კაცმა წარმოადგინა ილ. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“, ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“ და რამდენიმე იმერული და ქართლ კახური სიმღერაც იმღერეს.

უმეტესს ნაწილს აქაურ მცხოვრებლებისას ცხოვრების უმთავრეს სარბიელად სასამართლო აურჩევია. სასამართლო იმისთვის არა მარტო მართალისა და მტყუნის განსასამართლებელი დაწესებულებაა, არამედ სკოლაც, თეატრიც, და გასართობი, თავ შესაქცევი ადგილიც. ასეთ მოვლენას საზოგადოებაში, რასაკვირველია, ძლიერ ცუდი შედეგი მოსდევს, როგორც, მაგ. გაიძვერა ვექილები, საეჭვო დავის ატეხა, ერთმანერთის სიძულვილი, ჯიბი და მტრობა, მუშაობისა და შრომისაგან მოცდენა და სხ. და ყოველსავე ამას-კი საზოგადოების ზნეობრივად და ნივთიერად დაქვეითება.

მაგრამ როგორ არ დაღარიბდება ხალხი, როდესაც სასამართლოში თრევას და ერთმანეთის ჯინს და მტრობას ანდომებს დროს და ყოველ გვარ მუშაობას-კი მომცდარია?..

ერთად ერთს ცხოვრების სახსარს აქაურ მცხოვრებლებისას ვენახი შეადგენს (რადგან სხვა ნამუშავარი გავლების გამო არ ვარგობს), მაგრამ ამ უკანასკნელს იმედსაც მუსრი გაავლო ფილოქსერამ, ასე რომ ამ ორს წელიწადში, მგონია, ვენახის ნატამალიც არ დარჩეს ჩვენში, თუ მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება არ მოგვაქცია და რამე საშუალება არ იპოვეს ფილოქსერის მოსასპობად. თვითონ აქაურ საზოგადოებას არავითარი ღონის ძიება არ მოეპოვება, რომ ბრძოლა გასწიოს ამ სნეულების წინააღმდეგ, რადგან ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმე ნივთიერ შეძლებას, ერთობას და თანხმობას თხოულობს, და ყოველსავე ამას-კი მოკლებულია ბაღდადის საზოგადოება.

გ. ახ—ანი

◆ ◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საყურადღებოა საფრანგეთის გაზეთების აზრი ინგლისის ჩინეთში მოქმედების შესახებ. საფრანგეთის გაზეთი საქმის შესაფერად და ჯეროვნადა ითვლის ინგლისის ჩინეთის საქმეებში ჩარევას, რადგანაც ინგლისის მრავალი ქვეშევრდომნი ამ ქვეყანაში ვაჭრობენ. „ინგლისის სიფრთხილე, ამბობს „Jourual pes Debats“ ი სრულიად კანონიერია. ინგლისის მოქალაქეთ ისეთი დიდი ვაჭრული ინტერესები აქვთ აღმოსავლეთში, რომ საკვირველია, ასე დიდხანს რად დააგვიანა ინგილისმა და რატომ აქამდისაც არ გააძლიერა თავისს სამხედრო ხომალდები ჩინეთის წყლებზედაო.

—

„Matin“-ი დარწმუნებით ამბობს, რომ ინგლისის კაბინეთი საჩქაროდ იქმნა დაბარებული იმის გამო მოსალაპარაკებლად, თუ რა საშუალებანი უნდა იყოს ხმარებული, რომ ინგლისმა თავისი უპირატესობა შეინარჩუნოს ჩინეთის წყლებზედაო.

იწყება შენი სამსახური. იცოდე, ჩვენ აქ მალე ვაკეთებთ საქმეს. ფულის ნაკლებულება რომ არ გქონდეს, წინდა-წინ გაძლევ, ამ წამსვე, ჯამაგირს თხუთმეტის დღისას, ჩვენ აქ არა ვძუნწობთ. დღეს შენთვის დამზადებული არა მაქვს დარიგება, იმოქმედე, როგორც გენებოს: ჩამოიარე პარიზის ქუჩები, ისეირე საზოგადო მოედანზედ, ისადილე და ისაუზმე საუკეთესო სასტუმროებში ყურადღება მიაქციე ყველაფერს, რაც-კი შენს ახლო-მახლო მოხდეს, და თუ არაფერი შეიტყო-რა ღირს-შესანიშნავი, ორშაბათს ისევ ჩემთან მოდი.

მიშელ პერრენს უკვირდა და არ იცოდა, რა ეთქვა. ასე ეგონა, სიზმარში ვარო. სიტყვა ვერ გამოეძებნა მადლობის გამოსაცხადებლად. მივიდა თუ არა თავისს ბინაზედ, ღმერთს შესწირა მადლობა, რომ ასეთი კეთილი კაცები შემახვედრეო, მერე დას წერილი მისწერა და მიღებულის ფულის ნახევარი გაუგზავნა. ოთხის დღის განმავლობაში მთლად მოიარა პარიზი, გასინჯა ყველა მისი ღირს-შესანიშნავი ადგილები და ორშაბათს დამარესთან მივიდა. დამარე მხიარულად დაუხვდა და ბოლოს ჰკითხა:

— მყუდროობდა ქალაქი და ხომ არა გაგიგონია-რა ღირს-შესანიშნავიო?!

მღვდელმა მიუგო:

— ქალაქი დაწყნარებულია და ისე მყუდროობს, როგორც მე. ჯერ-ჯერობით შევხვდი ერთს ბედის მომდურავს — ლეიბ გვარდიის უფროსს, გრაფ არტუას, რომელმაც დაწვრილებით მიამბო თვისი სამწუხარო თავ გადასავალი. ძლიერ გულ-ახდილად მელაპარაკებოდა, იქნება იმისთვისაც, რომ მეც ვუამბე ჩემი ამბავი და ვუთხარი, რომ ოდესმე მღვდლად ვიყავი მეთქი.

— მაგრე უთხარი? ჰკითხა დამარემ და ხმა-მაღლა გადიხარხარა. ჰო, შენ ისევ დაბა-სოფლის მღვდლობა გეტყობა. არ დაჰპირდით, რომ კიდევ სადმე ვნახოთ ერთმანეთიო?

— ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს ყავახანაში და ჭადრაკს ვითამაშებთ, თუ-კი დრო მექნება. მაგრამ საქმეა ყველაზედ უმთავრესი, და გთხოვ გამაგებინოთ ჩემი მოვალეობა.

— დღესაც ვერ მოგცემთ განსაზღვრულს მონდობილებას. მოიარეთ ისევ ქალაქი წინანდებურად და ხუთშაბათს მოდით ჩემთან.

ამ სიტყვებით გამოემშვიდობა პერრენი უფროსს. მაგრამ მაინც ვერ გაეგო, რა დამოკიდებულება ჰქონდა თავისს კეთილისმყოფელთან. „რა სარგებლობას მოელიან ჩემგან? ჰფიქრობდა ის: უნდა მოვიარო პარიზი, ვისადილო საუკეთესო სასტუმროებში, ყური ვუგდო ყველაფერს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი დამარეს ვუამბო... მე ასე ვფიქრობ, ჩემს ძველს სკოლის ამხანაგს ფიშეს სურს ხელი შემიწყოს და ფეხზედ დამაყენოს, მაგრამ, რადგანაც ჩემი შესაფერი თავისუფალი ადგილი არა აქვს, მაძლევს ფულს, რომ უდარდელად ვიცხოვრო. რომ არ მეჩოთიროს, დამრე იმას იმიზეზებს ვითომ ჩემგან საყურადღებო ამბების შეტყობას მოელის. არა, ასე დატოვება ამ საქმისა შეუძლებელია. უსაქმოდ მე ცხოვრება არ შემიძლიან. მომავალ ხუთშაბათს უეჭველად გამოვარკვევ ამ საქმეს.

როდესაც ის ხუთშაბათს მივიდა დამარესთან მან ჰკითხა:

— აბა ჩემო კეთილო მეგობარო, როგორ გატარე გუშინდელი დღე?

— ისე, როგორც ყველა დღეები, მიუგო პერრენმა: დილას ვიყავ ტიულერის ბაღში, სადამოს ბულვარზედ ვსეირნობდი.

— რა ნახე?

— არაფერი იმისთანა, რადგანაც ყველა ადგილი პარიზისა ისეთი ნაცნობია ჩემთვის, როგორც ჯიბე ჩემის ტანისამოსისა.

„ორში ერთი, ან ძალიან გაიძვერაა ან ძალიან გულ-დანდობილი კაციაო“ იფიქრა დამრემ და განაგრძო:

— სად ისადილე გუშინ?

— პალე-როიალის ერთს სასტუმროში, მიუგო პერრენმა.

— მერე?

— მერე ყავა დავლიე du Caveou-ის ყავახანაში.

— ამ დროს რა ხდებოდა შენს ახლო-მახლო?

— არაფერი არ შემინიშნავს!

— მაშ ვერ შენიშნე სამი ყმაწვილი კაცი, რომლებიც შენს მახლობლად ისხდნენ და გატაცებით მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთების აზრით-კი, ინგლისს ეშინიან შორეულ აღმოსავლეთში სავაჭრო ბაზარი არ გამოეცალოს ხელიდგანაო. საზოგადოდ, მთლად მწერლობა ერთხმად აღიარებს, რომ ყველა სახელმწიფომ, რომელსაც-კი ინტერესი აქვს რამე შორეულს აღმოსავლეთში, დიდის ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი იაპონია-ჩინეთის ომს და ეხლავე გუფრთხილდეს თავისს ინტერესებს, რადგანაც ადვილად მოსალოდნელია ისე გამწვავდეს საქმე, რომ საშიშო შეიქმნას მთელის ევროპისათვისო.

—

გაზეთი «Daily News»-ი სწერს: რუსეთიდგან მოსული ცნობები აორკეცებს გამოურკვეველს მდგომიარეობას და შესაძლებელადა ჰხდის, რომ რუსეთი ჩაერევა ჩინელებისა და იაპონელების მორიგების საქმეში. ეს საგანი გუშინდელ მინისტრთა საბჭოს უნდა განეხილაო.

გაზეთი „New Iork Herald“-ი უფრო გარკვევით ლაპარაკობს. აი რასა სწერს ამ გაზეთს ლონდონელი კორრესპონდენტი: «ამტკიცებენ, რომ რუსეთსა და იაპონიას ხელ-შეკრულობა აქვთ დადებული ჩინეთის სამფლობელოს განაწილების შესახებ. გუშინ კაბინეტი იმიტომ შეიკრიბა, რომ ამ ხელშეკრულებისა და მორიგების წინააღმდეგ ღონისძიება რამ იხმაროსო.

უცხოეთი

საფრანგეთი. ნანტში მომხდარის მუშათა დასის საერო კონგრესის გადაწყვეტილებამ დიდი ყურადღება მიიპყრო საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებისა. თითოეული გაზეთი თავისებურად ჰსინჯავს ამ გარდაწყვეტილებასა, მაგრამ ყველა კი ეთანხმება იმ საერთო აზრს, რომ ეს გარდაწყვეტილება დიდად საყურადღებოაო, რადგანაც აღნიშნავს მუშათა დასთა შორის მომხდარს ცვლილებას და ქადაგების ახალს მიმართულებასაო.

განმარტეს რა, რომ, ამ ჟამად თითქმის ყველა ქალაქის მუშა სოციალიზმის მომხრეაო, დასის მეთაურებმა გამოაცხადეს, რომ დღეიდგან ჩვენი ყურადღება სოფლელ მუშას უნდა მივაქციოთო. ამ განზრახვით თავისის მოქმედების „წესდების“ უმთავრესი მუხლი შესცვალეს. აქამდის მუშათა დასი მამულის საერთო სამფლობელოდ გარდაქცევას თხოულობდნენ, ე. ი. უნდოდათ კერძო მემამულეთაგან შეესყიდათ და ყველა მამული სახელმწიფოს გაეხადათ. მაშინ მფლობელობაც, რასაკვირველია, საერთო იქმნებოდა. მაგრამ დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთის გლეხი არ თანაუგრძნობდა ამ სურვილს და ამიტომ ახალს გზას დაადგნენ, რომლითაც მიწით სარგებლობა მარტო მომუშავე-მომქმედთ შეუძლიანთ. სხვა ნაირად რომ ვსთქვათ, ისინი პატივსა სცემენ კერძო საკუთრებას, მხოლოდ იმ შეთხვევაში-კი, თუ კერძო მფლობელი თავისს ხელით ამუშავებს მამულსაო. დღეიდგან მუშათა დასის მოქმედება იმათ წინააღმდეგ იქმნება მიმართული, ვინც მამულს „სხვა დაქირავებულ მუშათა შემწეობით ამუშავებს“ და შემოსავალს-კი, საიჯარადრო გარდასახადსავით, თითონ იღებს.

ამას გარდა, დასის მეთაურებმა უარ-ჰყვეს ყოველ გვარი სარევოლიუციო მოქმედება, გაჰკიცხეს მუშათა აჯანყება და გამოაცხადეს, რომ დროებით შევაჩეროთ.ეკონომიურს ნიადაგზედ დაწყებული ბრძოლა და ეს ბრძოლა ახლა პოლიტიკურს ნიადაგზედ გადავიტანოთო, რადგანაც ამ მხრივ მუშანი და მებატონენი არა თუ ერთის უფლებისანი არიან, არამედ მუშათ უფრო უპირატესობა ეძლევათ სიმრავლისა გამო. მოღვაწენი ყველაზედ პირველად უნდა სცდილობდნენ, რომ სახელმწიფო ძალა მოიგდონ ხელში და მხოლოდ მაშინ შეიძლებენ თავისის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასაო.

კონსერვატული გაზეთები ამ გარდაწყვეტილების გამო შეშფოთებულნი არიან; ზომიერ რესპუბლიკელთა დასის გაზეთებიც დიდს მნიშვნელობას აძლევენ ამ ამბავს და დასძენენ, უმთავრესი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ საზოგადო წესწყობილებაში ცვლილებანი იქმნას შემოღებულიო.

სოციოლოგოსთა კონგრესი პარიზში.

19 სექტემბერს პარიზის კაცთ-მოყვარეთა საზოგადოების დარბაზში დაიწყო პირველი კონგრესი საერთაშორისო სოციოლოგიურის ინსტიტუტისა. კრება დაიწყო კონგრესის პრეზიდენტმა ჯონ ლებბოკმა, რომელმაც საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა სოციოლოგიის მნიშვნელობის შესახებ.

„ეხლა რომ ვინმემ იკითხოს, რისთვის ვაარსებთ ამ ინსტიტუტსაო, სთქვა ორატორმა, ჩვენ სრულის უფლებით ჩვენის მხრივ ვკითხავდით: როგორ მოხდა, რომ ამ გვარი დაწესებულება აქამომდისაც დაარსებული არ იყოო? დღევანდლამდე კარგად ვერ დავაფასეთ სოციოლოგიის მნიშვნელობა და ჯეროვანად არა გვაქვს გამორკვეული, რა ადგილი უნდა ეჭიროს მეცნიერებაში“. ფიუსტელ-დე-კულანჟს ეგონა, რომ «ისტორია სოციოლოგიურ მოვლენათა მეცნიერებას შეადგენსო, ე. ი. თვით სოციოლოგია არისო». ლებბოკი არ ეთანხმება ამ აზრს, იგი ამბობს, რომ ისტორიას ზოგიერთს შემთხვევაში უფრო ფართო ასპარეზი აქვს შემოფარგლულიო. ისეთი საგნები, როგორც მაგალითად, ომის ბედ-იღბალი, სამეფო გვარეულობის ცვლილება სოციოლოგიას არ ეკუთვნის; ხოლო მეორეს მხრით, მთელი ისეთი მოვლენანი, როგორიც ხალხის განათლება, ჯანმრთელობა და სხვა-და-სხვა გარემოება საზოგადოებრივის ცხოვრებისა, ისტორიის საგანს არ შეადგენს. აი ამ საკითხების შესწავლა და განხილვა შეადგენს უმთავრესს საგანს კონგრესისას. შემდეგ ვრცლად განმარტა რა, რა მნიშვნელობა აქვს და სარგებლობა მოაქვს მეცნიერთა საერთაშორისო კრებას, ლებბოკმა მაგალითებით დაამტკიცა, თუ რამდენად საჭიროა ერთმანეთთან მოლაპარაკებითა და მორიგებით გარდასწყდეს სოციოლოგიის საყურადღებო საგანიო. ამისთანა საგნად ჩაითვლება ხალხის განათლების საქმე, რომლის გამოც სხვა-და-სხვა აზრი ტრიალებს. უნდა გამოირკვეს, როგორ უფრო ჯერ-არს სწავლა-განათლების საქმის წარმართვა და რა მონაწილეობას უნდა იღებდეს სახელმწიფო, ადგილობრივი თვით-მმართველობა და სხვა.

შემდეგ ლებბოკმა ისევე განათლების შესახებ დაიწყო ლაპარაკი და ინგლისის ცხოვრებიდგან საყურადღებო ცნობები დაასახელა. 1870 წ., როდესაც სასწავლებელთა შესახები კანონი შეწყნარებულ იქმნა, ინგლისის სასწავლებლებში 1,500,000 ყმაწვილი სწავლობდა. ეხლა-კი თითქმის 5 მილიონამდის მიაღწია ამ რიცხვმა. მერე რა შედეგი მოჰყვა ამ ამბავს? ისა, რომ თუ აქამდის ყოველ წელს ორთა შუა რიცხვით დამნაშავეთა და ბრალდებულთა რაოდენობა 12,000 უდრიდა, დღეს ამ რიცხვმა 5,000-მდე იკლო. მძიმე დანაშაულების ჩამდენთა რიცხვმა ორთა შუა რიცხვით 3,000-დგან 800 ამდე იკლო. მცირეწლოვან დამნაშავეთა რიცხვმა 14,000-დგან 5000-მდე იკლო. ეს ცნობები უტყუარ ჭეშმარიტებადა ჰყოფს ვ. ჰუგოს სიტყვებსა: „ის, ვინც სასწავლებელს აარსებს, საპატიმროებს აუქმებსო“.

სამეცნიერო ნაწილი

—

ვენაში, მეცნიერთა საზოგადოების კრებაზედ, რომელსაც 2,000-ზედ მეტი მეცნიერი დაესწრო, პროფესორმა ბოლცმონმა წაიკითხა თავისი მოხსენება ჰაერში საფრენ მანქანის შესახებ. ბოლცმონმა სთქვა: სრულიადაც ეჭვი არა მაქვს, რომ სულ მცირეოდენის ხნის შემდეგ შემოღებული იქმნება ჰაერში საფრენი მანქანები და რკინის გზები სრულიად გაუქმდებაო. ბევრს არა სჯერა ეს ამბავი, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ასევე არ სჯეროდათ უწინ არც ის, რომ რკინის გზები და მატარებლები გაიმართებოდა. ბოლცმონმა სთქვა ამასთანავე, რომ ორ საქმეში უნდა მოხდეს ძლიერ დიდი ცვლილება, როცა ჰაერში საფრენი მანქანები იქმნება შემოღებული: ეს ორი საქმე სამხედრო და სადამოჟნოაო. რისთვის გამოდგება ეხლანდელი სტრატეგია და სამხედრო წესები, როცა მტერს ადვილად შეეძლება ზეციდგან დაეცეს თავს თავისს მოწინააღმდეგეს. ან რისთვის გამოდგება სადამოჟნო წესები და რა უნდა აკეთონ დამოჟნის მოხელეებმა, როცა საქონელს დამოჟნის სადგურებზედ და საზღვრებზედ-კი არ გაატარებენ, არამედ საცა ენებებათ, იქ ჩაიტანენ.

ბ ნ ჩიორას „სახელდახელოს“ ხელდახელი პასუხი.

ბატონმა ჩიორამ ვითომ-და ხუმრობით, მაგრამ ნამდვილის გულით („ივერია“ № 193) ახადა ფარდა ერთს იმისთანა საგანს, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში დავიწყებულია და ამიტომ მცირედ განათებული. ასეთი აზრი ქართველ ქალების შესახებ მრავალჯერ გამიგონია, ასეთს კერძო საუბარში და ყოველთვის გაქცეულა უსაფუძვლოდ მოსაუბრე. დარწმუნებული ვარ, რომ ახლა, რაკი გაზეთშიაც აღიძრა ქართველ ქალების შესახებ ლაპარაკი, ბ-ნი ჩიორა და სხვანი სახუმარს კილოს შეიცვლიან და ბეჯითად გამოიკვლევენ, რამდენად სამართლიანია მისგან გამოთქმული ყვედრება.

თუ არა ვცდები, ბ-ნო ჩიორავ, ქართველ ქალებს აყვედრით გადაგვარებისაკენ ლტოლვას და ქართულის ენის წარყვნას. როცა ამ ყვედრებასა სწერდით, მგონია, თქვენი თავი ამორძლების ქვეყანაში არ გეგონათ; მგონია მტკიცედ დარწმუნებული ჰბრძანდებოდით, რომ თქვენ იმ ქვეყანაში ხართ, სადაც ქალები $42\frac{6}{7}\%$ შეადგენენ საზოგადო მცხოვრებლისას. მართალია, ყველაფერში უმრავლესობა არა ბატონობს, მაგრამ ისიც მართალია, რომ მთელ დედამიწის ზურგზედ მამაკაცთა და დედაკაცთა დამოკიდებულების სადავე პირველთა ხელშია, ისინი ბობოლობენ, ასამართლებენ და სდებენ დაურღვეველს (რადგან ძალი შესწევთ), განაჩენს და ამ განაჩენს ნება-უნებურად ასრულებინებენ დაჩაგრულთა. ვისი ბრალია, რომ მზითევში, ხელთ-ნაწერ „ვეფხის ტყაოსნის“ მაგიერ, გაყიდულ მამულ დედულის, ან ამავე მამულ-დედულის დაგირავებით აღებული ფული მიგვდევს? ვისი ბრალია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი პოლ-დეკოკის და ამისთანების რომანებმა დაიჭირეს ქართველი ქალების ცხოვრებაში? ვისი ბრალია, რომ ტკბილი ქართული ენა წაირყვნა? ვისი ბრალია, რომ ქართველმა ქალმა სხვა ფრად დაიწყო ჟღურტული და ქართული აითვალწუნა? რომელი უფრო წინ მოხდა: ივანეს ვანიუხად გადაკეთება, თუ მარიამის მაშინკად გარდაქცევა? ვისი ბრალია, რომ ქართველ ქალებს, არა სცხვენოდათ დედა-ენის დავიწყება და თავ-მოსაწონად, საქებრად მიაჩნდათ, განათლების ნიშნად სთვლიდნენ?

ჯერ ჩვენში ქალების ერთად-ერთი მისაყრდობი, თავ-შესაფარი ქმრის ოჯახია, სხვა ყველა მისთვის ცხრაკლიტულით არის დაკეტილი. ახლა ის ვიკითხოთ, ამ ერთად-ერთს მოედანზედ გამოსული ქალი დამოკიდებულია, თუ არა და ან რამდენად არის დამოკიდებული. მე ჩემ აზრთან ბევრ ჩემის ამხანაგისა და ნაცნობის აზრს გამოვთქვამ ამ საგნის შესახებ უმეტ-ნაკლებოდ: ქალი იქამდეა დამოკიდებული, გარეშე პირობათაგან, რომ არც სრული თვისი გრძნობა აქვს შერჩენილი და არც თავისებური გონებითი მსჯელობა; ერთის სიტყვით, იგი სრულს პირო-

---

საიფობდნენ და სჯაში იყვნენ?

ჰო, ჰო პუნშსა სვამდნენ.

— ვერ გაიგონე, რომ ეს ყმაწვილი კაცები ემუქრებოდნენ პირველს კონსულს. ყურები სადა გქონდა, მოქალაქე პერრენო?

— როდესაც მივაქციე ყურადღება, შევნიშნე, რომ ეს გარემოება არაფრად ეპიტნავათ, ჩუმად, ჩურჩულით დაიწყეს ლაპარაკი და რომ არ დამემალა მათთვის ტკბილი საუბარი, ავდექი და შორს გადავჯექი.

— როგორ თუ შორს გადავჯექიო! რა გგონიათ! რა სამსახურში ხართ? რისთვის გაძლევენ, თუ ღმერთი გრწამთ, დღეში ოცს ფრანკს?

— აი, სწორედ ეგ უნდა მეკითხა თქვენთვის და ახლა გთხოვთ მაგის გადაწყვეტილს პასუხს.

— ეშმაკმა წაგიღოთ! თქვენ ჯაშუში ხართ, ჯაშუში.

— ჯაშუში?!!

მღვდელი აენთო. პირველში გაუნძრევლად იჯდა, გაქვავებული. ბოლოს წამოხტა, ოთახიდგან გავარდა და მინისტრთან მიიჭრა. მინისტრი წინანდებურად დაუხვდა და ჰკითხა:

— შეთქმულობა აღმოაჩინე თუ რა არის, მაგრე რომ აღელვებულხარ?

— დიაღ, მე აღმოვაჩინე, მაგრამ შეთქმულობა-კი არა, ისა, რომ შენ მე აბუჩად მიგდებ და ბალღივით გინდა მათამაშო. მე ღარიბი და განდევნილი სოფლის მღვდელი ვარ, შენ-კი დიდებული მინისტრი, მაგრამ, იცოდე, ჩემს ბედს შენსაზედ ვერ გავსცვლი—მე წმიდა და შეუბღალველი სინდისი მაქვს, ჩვილი და დანდობილი გული. დამცინი, მაგრამ ეხლა გული მტკივა და მებრალები, რა-კი გიცანი, ის არ ყოფილხარ, რაც იმ ბედნიერს დროს იყავი, როდესაც მე და შენ ერთად ვსწავლობდით. შენი კეთილის-მყოფლობა ხელსა მწვავს. შენი ოქრო უფრო მძიმე უღლად მაწევს გულზედ, ვიდრე ჩემის დის ოფლით ნაშოვნი წვლილი. უარს-ვყოფ შენს მეგობრობას. გინდოდა დაგემცირებინე, ჯაშუშად გაგეხადნე. მომისმინე, მე ახლა არ შემიძლია შენის ფულების დაბრუნება, მაგრამ ამას იქით-კი შენი აღარა მინდა-რა.

— მერე და ვინა გთხოვს? მკაცრად შესძახა ფიშემ: მე სიმშილსა და სიკვდილს გადაგარჩინე და ახლა მევე შეურაცხმყოფ ამ სიკეთისათვის?

მღვდელმა თავი აიწია, პირის სახე სრულიად გალურჯებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ღირსებითა და თავ-მოწონებით წარმოსთქვა:

— საწყალი ვიყავი, ღმერთმა ინება ასე. მზად ვიყავი მემსახურნა შენთან, ისე როგორც უბრალო მოსამსახურეს და პატიოსნად მეჭამა ლუკმა პური. რისთვის უნდა გითხრა მადლობა? იმისთვის თუ, რომ ჩემი დამცირება, ჩემის პატიოსნების შელახვა გინდოდა?..

ფიშე დაფიქრდა. მერე უცბად ხელი ჩამოართვა თავის ძველს ამხანაგს და ალერსით უთხრა:

— ჩვენ ერთ-მანეთისა ვერა გავიგეთ-რა და ვერც ვერასოდეს გავიგებთ. ერთმანეთს არ ვგევართ. ჩემი გონება შენს გულს ვერ მოურიგდება. გულით მინდა დავივიწყო ის შეურაცხება, რომელიც შენ მომაყენე. ხელ-შეკრულება შემდგარია და ეკკლესიასაც ადგენილი აქვს თავისი უფლება. ვეცდები, ისევე დაგიბრუნო შენი მრევლი; პარიზის ქუჩები შენთვის ვერაფერი ასპარეზია და აქ ვერაფერს თანამდებობას ვერ გიშოვნი. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. ჯაშუშიც საჭიროა და პატიოსანი სოფლის მღვდელიც. შენ ეს მეორე უფრო ხარ. წადი მშვიდობით და აჰა, ეს ფული გამომართვი საგზაოდ.

პერრენი არ ართმევდა.

— არა, ეს ფული უეჭველად უნდა გამომართვა. ამას მინისტრი-კი არა, შენი სასწავლებლის ამხანაგი გაძლევს. წადი და ბედნიერად იცხოვრე.

რამდენისამე კვირის შემდეგ პერრენი ისევ თავისს ადგილზედ დაჰნიშნეს: მისი და, მაგდალინა, ძმის ოჯახს უვლიდა და თავ-მომწონეთ უყურებდა, როდესაც გლეხები კრძალვითა და მორიდებით უკრავდნენ თავს თავიანთ სულიერს მამას. ძმა-კი ჰფიქრობდა: „საყვარელნო და კეთილნო ხალხნო! ის-კი არ იცით, რომ რვა დღე ჯაშუში ვიყავი!!!.

იპო ხეთელი

ვნებას არ შეადგენს. იმის გრძნობასა და მსჯელობას ყველგან წინ ელობება ძლიერთა მამაკაცთა მოთხოვნილება. მზითევში მამა-კაცთაგან არ შეიცვალა „ვეფხის ტყაოსანი“ მუჰა-მუჰა ასიგნაციებად? რომელი მამაკაცია თქვენში, ვისაც თვალები დახუჭული და ყურები დაცქვეტილი არა აქვს იმის შესატყობად, რომელს ქალს რამდენი ქრთამ-მზითევი აქვსო? ზოგიერთმა თქვენგანმა იქამდისაც-კი იხარბა, რომ მოუნელებელ ჭირად გარდაექცა. რად მოხდა ბ-ნო ჩიორავ, რომ თვით სასიძოები ეშველებიან სასიმამროს მამულის გაყიდვა-დაგირავებას და ზოგი მათგანი, კახეთიდგან ტფილისს-კი არა, პეტერბურგამდისაც დაუხარჯებელია ამ სამარცხვინო და უგვარ საქმისათვის? დაჯერებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ პოლ-დეკოკის და ამისთანების რომანებს ხელშიაც არ ავიღებდით, თუ თქვენ ჩვენთან საუბრის დროს პოლ-დეკოკის გმირებზედ არ ჩამოგეგდოთ ლაპარაკი და იმათი აწონ-დაწონით არ შემოგეტყუებინათ ჩვენთვის ბევრი ზნეობა ახდილი აზრები, ვითომ და მოწინავე ხალხის აზრებად. ჯერ ჩვენ ანაბანაც არ ვიცოდით იმ ენაზედ, რომელზედაც თქვენ პოლ-დეკოკსა ჰკითხულობდით. რისაგან მოხდა, რომ თქვენ იმ ენაზედ სხვა გონების საუნჯე ვეღარ იპოვეთ პოლ-დეკოკის გარდა? იმისაგან, ბატონო, რომ, სხვა თავის ტეხას მოინდომებდა, პოლ-დეკოკი და პონსონ-ტერაილი-კი ადვილი შესათვისებელი იყო.

თქვენ არ შემოიტანეთ პირველებმა ქართულს ენაში სხვა-და-სხვა ენათა წინადადებანი და სიტყვები? დღესაც ძალიან იშვიათია თქვენში იმისთანა, რომ შესძლოს, წმინდად-კი არა, თუნდა უკანონო ქართულ ენაზედ თავისის აზრის გამოთქმა. თქვენ ისინი არა ბრძანდებით, რომ ურცხვად აღიარებთ კრებებზედ, „ქართულად არ შევვიძლიან ჩვენის აზრის გამოთქმა, ნება მომეცით რუსულად გამოვსთქვაო“. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ 1894 წლის პირველ ნახევარში ეს ამბავი რამდენჯერმე მოხდა დიდად შესანიშნავ კრებებზედ თქვენდა სასიქადულოდ. ავითვალწუნეთ ქართული ენა იმიტომ, რომ ქართულად მომუსაიფენი თქვენში ვეღარავინ ვიპოვნეთ. მოგეხსენებათ, გათხოვება აუცილებელი და ერთად ერთი ასპარეზია ქართველის ქალისა, მოლოზნობას თუ არ ჩავთლით და აბა როგორ გავთხოვდებით, თუ იმ ენაზედ არ ვილაპარაკეთ, რომელზედაც საქმროები ლაპარაკობენ, ე. ი. იმ ენაზედ, რომლის ერთ წინადადებაში ქვემდებარე რუსულია, შესმენილი ქართული და ამხსნელი სიტყვებიც შესაფერად არის განაწილებული რუსულ-ქართულად. მგონია, სასტატისტიკო ცნობებს არ მომთხოვთ იმის დასამტკიცებლად, რომ პირველად თქვენ გაიწვრთვენით რუსულ ენაზედ და პირველად თქვენვე აურიეთ ეს ორი ენა დომხალივით. რა გვექმნა ჩვენ, თუ არ გვესწავლა ის ენა, რომლითაც თქვენ დაიწყეთ ლიკლიკი*)? საიდგან გვეცოდინებოდა უცხო ენის სიტყვების მიმოხვრა, თუ თქვენ არ გესწავლებინათ მარიამის „მაშინკად“ გადაკეთებით.

წარმოიდგინეთ, ბ-ნო ჩიორავ, რომ იმ ქინიანობის წყალობით, რომელიც გამოთქმულია ჩვენზედ ანდაზით: «თუ დედაკაცმა გაიწიაო» და სხ. წმიდა ქართული ენა შევინარჩუნეთ, მაგრამ ვის ველაპარაკოთ წმინდა ქართულის ენით, ერთი მიბრძანეთ, ვის რას გავაგონებთ, სწორედ მეორედ მოსვლა იქნება მაშინ, პურის მაგიერ იქნება აგურს გვაწვდიდეთ. რატომ მადლობელნი არა ხართ, რომ თქვენის გულისათვის საუკეთესო მდგომარეობა სავალალო მდგომარეობად შევცვალეთ. ჩვენ რომ ასე არ მოვქცეულიყავით, ასში ერთის საუბარს ვერ გავიგებდით და ვერც ჩვენსას გავაგებინებდით. ეს არა კმარა, ასში ათის ნაწერებსაც ვერ შევიგნებდით. მოგეხსენებათ, თქვენს მამა-კაცთა მწერლობაშიაც რამდენად დამკვიდრებულია არეული ენა. აქაც იმედი მაქვს დასამტკიცებელ საბუთს არ მომთხოვთ და თუ არ დაიშლით, შორს არ მომიხდება საბუთების ძებნისათვის სიარული. ვისგანაც გაგიგონიათ, რომ სასწავლებელში არ გვასწავლიან ქართულსაო, იმას მორცხვობით მოსვლია, ნამდვილი მიზეზი ვერ დაუსახელებია, ვერ გამოგტეხიათ, რომ შერეულ ქართული „კავალრებისაგან» და «კავალრებისათვისვე“ უსწავლია. მართალია, ქალების სასწავლებლები თითქმის ყოველ მხრივ უკუღმართად მოწყობილია, მაგრამ ამ უკუღმართობითაც ქართულის უცოდინრობით ვერავინ იმართლებს თავსა. მე თითონ ვიყავი ორ სასწავლებელში და პირველსავე სასწავლებელში საკმაოდ შევისწავლე ქართული, რადგანაც ოჯახიდგან, სადაც აღვიზარდე, შერეული ქართული გაძევებული იყო. უბრალო მაგალითი ოჯახის უფროსისა საკმარისი იყო, ტკბილი ქართული თუ არა, ცოტად მაინც რიგიანი ქართული მცოდნოდა. რატომ ასე არ იქცევა ყოველის ქართულის ოჯახის უფროსი?..

თქვე დალოცვილებო, მინამ ვარდროპს ჩვენ მაგალითად დაგვიყენებდით, არა სჯობდა თქვენ პატივცემული ბროსეს მაგალითისთვის მიგებაძნათ და ქართული ისე თუ არა, როგორც იმ უცხოელმა შეისწავლა, ცოტა მცირედ, მაგრამ ნამდვილი ქართული გესწავლათ და ჩვენთვისაც თქვენ გამხდარიყავით სამაგალითონი. რისგან არის, ბ-ნო ჩიორავ, ჩვენ გვისაყვედურებთ ქართულის უცოდინრობას და თქვენ მოძმეებს-კი არა, რომელნიც სხვა-და-სხვა სამეცნიერო ასპარეზზედ არიან გაფანტულნი და არც-კი ახსოვთ თავისი დედა ქვეყანა. ენას ხომ სიზრმადაც არა ჰხედავენ? წინადვე ვიცი, თქვენ აქაც თავს იმართლებთ, იტყვით: „ისინი დედის შვილები არიან, დედებმა ვერ ჩაუნერგეს საკმაოდ სიყვარული სამშობლო ქვეყნისაო“. მაგრამ შესცდებით-კი. ჩვენ გასათხოვრობაშიაც და ქმრიან-შვილიანობაშიაც ისეთები ვართ, როგორებსაც თხოულობს თქვენგან შედგენილი საზოგადოება.

„ვარდროპი ყმაწვილი ქალია— სულ ოც-და-ოთხის წლისა, ხოლო ინგლისელთა აზრით კი ძალიან ნორჩიც არისო“. ხომ ჰხედავთ, ბ-ნო ჩიორავ, რომ ოც-და-ოთხის წლის ქალი ინგლისელთა აზრით ნორჩიც არის. რა თქმა უნდა, თქვენგან შედგენილი საზოგადოებაც რომ ინგლისელებივით ჰფიქრობდეს, ჩვენ ცამეტ-თოთხმეტის წლისანი არ მოვიღერებდით თავს, გასათხოვრად არ მოვემზადებოდით. რამდენის შეძენა შეგვეძლო, რომ საზოგადოება ოც-და-ოთხ წლამდის ქალს ნორჩად სთვლიდეს და არა დაბერებულად. რამდენად გავიმდიდრებით გონებას, რამდენად შევიმუშავებდით ხასიათს, თუკი თქვენგან შემდგარი საზოგადოება დაგვარწუნებდა, როგორც ახლაა, რომ ცამეტ-თოთხმეტ წლამდის გათხოვება არ შეიძლება, ისე ოც-და-ოთხ წლამდის გათხოვება არ შეიძლებოდეს. ჩვენ-კი დარმწუნებული ვართ, რომ რა-კი ოც-და-ოთხ წელიწადს გადავსცდებით, თქვენგან შემდგარი სასოგადოება „დაჟამებული“-ს სახელით მოგვნათლავს და ფეხს დააჭერს, რომ უფრო მეტი აიღიოს ჩასაჯიბად. ან-კი როგორ არ დაჟამდება ქალი თქვენისთანა საზოგადოებაში, რომელიც ცამეტ-თოთხმეტის წლისას გასათხოვარს ეძახის. ამ ხნიდგან თქვენის წყალობით ქალი ყოველ დღე მოელის თავისის ბედის გადაწყვეტას და ოც-და-ოთხ წლამდის ლოდინით საკვირველი უნდა იყოს, თუ თმაში თეთრიც არ გამოერია. ხომ მოგეხსენებათ, ინგლისის ერთი დედოფალი მარიამ სტუარტი ერთს ღამეს გათეთრდა ბედის გადაწყვეტის ლოდინში.

დიაღ, პატივცემული ვარდროპი თუ შემკულია მრავალი ღირსებით, პატივი და დიდება ინგლისელ მამაკაცთა საზოგადოებას და თუ ჩვენ, ქართველი ქალები, მოკლებულნი ვართ ღირსებას, და ამის ნაცვლად, ბევრი ნაკლულევანება გვაქვს, ქიმუნჯის ღირსი თქვენგან შემდგარი საზოგადოებაა, ბ-ნო ჩიორავ! **)

ბარბარე სულხანიშვილის ასული

---

*) საკვირველია, ქ-ნ ბარბარე სულხანიშვილის ასულის საქმე. ისეთ ნაირად ლაპარაკობს თითქოს მე მეკიცინოს ქართველ ქალებისათვის, რუსული ენა რად ისწავლეს? მე იმას ვწერდი, ქართული რად დაივიწყეთ-მეთქი.“ განა არ შეიძლებოდა, რომ არც ქართული დაევიწყებინათ და რუსულიც ესწავლათ? ევროპის ქალები, რომელთაც სამი-ოთხი უცხო ენა თავისს დედა-ენასავით იციან, განა დედ-ენას ივიწყებენ აქაო-და სხვა ენა ვიციოთ? განა თვით ქ-ნ ვარდროპმაც ინგლისური ენა დაივიწყა, რაკი ქართული შეისწავლა?!..

ჩიორა

**) სიამოვნებით წავიკითხე ქ-ნ ბარბარე სულხანიშვილის ასულის წერილი, მაგრამ ვეჭვობ-კი, რომ ყველა ქართველი ქალი იმის აზრისა იყოს. ამიტომ ამ წერილის პასუხს ჯერ-ჯერობით გადავდებ, ვიდრე სხვა ქალებიც გამოსთქვამენ თავისს აზრს.

ჩიორა

◆ ◆

თეატრი და მუსიკა

—

30 სექტემბერს „ტფილისის არტისტთა საზოგადოების“ კრება იყო, რომელზედაც გადასწყვიტეს მომავალ სეზონში თვეში ერთხელ გამართონ დრამატიული წარმოდგენა და ყოველ ოთხ შაბათს საღამოები. წრეულს წარმოდგენების ზედამხედველობა ჩააბარეს განსაკუთრებულ კომიტეტს, რომლის წევრებადაც ამორჩეულ იქმნენ: ბ-ნნი ი. ე. ფიოთროვი (თავმჯდომარე), გ. პ. იამპოლსკი, ნ. ნ. მაკაროვი და ქ-ნნი შჩერბანოვსკისა და პაპკევიჩისა. პირველი წარმოდგენა იქნება 15 ოქტომბრამდის. საღამოებს, გულაკანდებურად გამართავენ ნამდვილი წევრები, რომელთა შორის დღეები განაწილებულია წილის ყრით. პირველი საღამო 19 ოქტომბერს იქმნება გამართული. («ნოვ. ობოზ.»).

—

დღეს, სამშაბათს, 4 ოქტომბერს, სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქმნება „ფაუსტი“. მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი თამაროვისა.

◆ ◆

პეტერბურგის ბირჟა, 27 სექტემბ.

	მყიდვე-ლისა.	გამყიდ-ველისა.	გაყიდ-ულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,48	7,51	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	149$^1/_2$	151$^1/_4$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,,	— ,,	— ,,
5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	240
—მეორისა	— ,,	— ,,	219
4°/₀ მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	191
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6°/₀	— ,,	— ,,	101$^3/_4$
5°/₀	— ,,	— ,	100
ქუთაისის ბანკის 6°/₀.	— ,,	— ,,	101$^3/_4$
5°/₀.	— ,,	— ,,	100
5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	99 ,,	— ,,

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11$^1/_2$—12$^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12$^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1$^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7$^1/_2$ საათამდის.

გ. ი. ფრანცეუსი, 7—7$^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

С.-ПЕТЕРБУРГСКОЙ
ТЕХНО-ХИМИЧЕСКОЙ
ЛАБОРАТОРИИ.

ტიმოლოვის ელექსირი კბილებისთვის. ტიმოლის ფხვნილი კბილებისთვის. ერიდეთ სიყალბეს და უეჭველად მოიკითხეთ ის საგნები, რომელსაც ჩვენის ქარხნის მარკა აქვს, მთავრობის მიერ დამტკიცებული.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—3—1)

კბილის ექიმი
ვ. ი. ჭიჭინაძე
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—7)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

Дозволено цезнурою Тифлисъ, 3-го Октября 1894 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.